

უცხო ინვაზიური სახეობების მართვის კონცეფცია

❖ უცხო ინვაზიური სახეობების მართვის კონცეფციის ხედვა

უცხო ინვაზიური სახეობების მართვის კონცეფციის ხედვა ჩამოყალიბდა ისეთი საერთაშორისო ჩარჩო-რეგულაციების გათვალისწინებით, როგორიცაა:

ინვაზიური სახეობების გლობალური პროგრამის (GISP) მიერ შემუშავებული გლობალური სტრატეგია უცხო ინვაზიური სახეობებისათვის;

ევროპული კავშირის რეგულაციების უცხო ინვაზიური სახეობების მიმართ (EU Regulation 1143/2014);

ბუნების დაცვის საერთაშორისო კავშირის სახელმძღვანელოს ინვაზიური სახეობების ევროკავშირის რეგულაციების მიხედვით (IUCN guide to the EU Regulation on Invasive Alien Species) და საქართველოში არსებული სიტუაციის გათვალისწინებით უცხო ინვაზიური სახეობების მენეჯმენტთან დაკავშირებით.

ხედვა: 2040 წლისთვის საქართველოში უცხო ინვაზიური სახეობების უარყოფითი გავლენა ადგილობრივ სახეობებზე, ეკოსისტემებზე და ადამიანის კეთილდღეობაზე შემცირებულია გონივრული მართვის შედეგად, რომელიც ეფუძნება საქართველოსთვის უცხო ინვაზიური სახეობების შესახებ მიღებულ თანამედროვე მონაცემების ანალიზს, საერთაშორისოდ აპრობირებულ წარმატებულ მეთოდების გამოყენებას ადგილობრივი პირობების გათვალისწინებით, ინვაზიის პროცესის ეფექტურ პრევენციას და სწრაფი რაეგირების სისტემის გამართულ მუშაობას, ეროვნულ დონეზე სრულყოფილი საკანონმდებლო ბაზის არსებობას უცხო ინვაზიური სახეობებთან მიმართებაში და საზოგადოების ჩართულობას გადაწყვეტილების მიღებისა და მართვის პროცესებში.

2040 წლისთვის იდენტიფიცირებულია დაზიანებული ეკოსისტემები, დაწყებულია კრიტიკულ საფრთხეში მყოფი ეკოსისტემების აღდგენა, რითაც ჯანსაღი და მდგრადი ეკოსისტემების შენარჩუნება საქართველოში ხელშეწყობილია, ხოლო ადამიანის ერთ-ერთ ფუნდამენტური უფლება, იცხოვროს ჯანმრთელობისთვის უვნებელ გარემოში, დაცულია.

❖ უცხო ინვაზიური სახეობების კონცეფციის ძირითადი პრინციპები

უცხო ინვაზიური სახეობების მართვის კონცეფცია უნდა ემყარებოდეს შემდეგ პრინციპებს:

▪ ბუნებრივი ეკოსისტემების მდგრადობა

ინვაზიური სახეობები უნდა იმართებოდეს ისე, რომ საფრთხეს არ უქმნიდნენ ბუნებრივი ეკოსისტემების მდგრადობას.

ბიოლოგიური მრავალფეროვნების კარგვა უცხო ინვაზიური სახეობების გავლენის შედეგად მნიშვნელოვნად შემცირდება ისეთი უცხო სახეობების კონტროლით ან განადგურებით, რომლებიც წარმოადგენენ საფრთხეს ადგილობრივი სახეობებისთვის, ჰაბიტატებისა და ეკოსისტემებისთვის.

კონტროლის მეთოდები ისე უნდა იყოს შერჩეული, რომ მინიმალური ზიანი მიაყენოს არასამიზნე სახეობებს და ეკოსისტემებს.

უცხო ინვაზიური სახეობების ქვეყანაში მოხვედრის შეზღუდვისთვის პრევენციული ზომების შემუშავება, ხოლო მოხვედრის შემთხვევაში შესაბამისი სამსახურების მყისიერი რეაგირება წინასწარ გაწერილი გეგმის მიხედვით ააცილებენ საფრთხეს ადგილობრივ სახეობებს (Article 8 (h) of the Convention on Biological Diversity)

▪ მტკიცებულებებსა და სამეცნიერო მიდგომებსა და მეთოდებზე დაფუძნებული მართვა

ინვაზიური სახეობების გავლენის კვლევა და ბიოლოგიური ინვაზიის პრევენცია ეფუძნება თანამედროვე სამეცნიერო მიდგომებს და მეთოდებს. მნიშვნელოვანია კვლევის ხელშეწყობა და მიღებული ინფორმაციის გამოყენება მართვისა და პრევენციისთვის, ქვეყანაში ცოდნის შექმნა უცხო ინვაზიური სახეობების შესახებ და მისი გაზიარება, რადგან კომუნიკაცია საზოგადოების სხვადასხვა სექტორებთან პრობლემების გადაჭრის საწინდარია.

პრობლემის კომპლექსური ბუნებიდან გამომდინარე მონაცემების შეგროვებისა და ანალიზის მეთოდებისა და მონიტორინგის რეჟიმის შერჩევაში აუცილებელია სხვადასხვა მიმართულებების მეცნიერების ჩართულობა.

- საერთაშორისო გამოცდილებისა და კოოპერაციული მართვის პრაქტიკებზე ორიენტაცია ადგილობრივი კონტექსტის გათვალისწინებით

ბიოლოგიური ინვაზიის პრევენციის მეთოდების შემუშავებისას გასათვალისწინებელია ადგილობრივი გამოწვევები და მსგავსი პრობლემების გადაჭრის საერთაშორისო გამოცდილება, საჭიროების შემთხვევაში, თანამშრომლობა სხვა ქვეყნებთან. თანამედროვე, აპრობირებული მეთოდების გამოყენება უცხო ინვაზიური სახეობების ქვეყანაში მოხვედრის პრევენციისთვის, კოოპერაცია მეზობელ ქვეყნებთან უსაფრთხოების ზომების დაცვისას, ინვაზიური სახეობების მიერ გამოწვეული ზიანის ერთობლივი აღმოფხვრა, ტექნოლოგიების ტრანსფერი ამ პროცესში მნიშვნელოვანია ეფექტური მენეჯმენტისთვის.

- საკანონმდებლო რეგულაციების სრულყოფა და აღსრულების მექანიზმების ეფექტურობა
ინვაზიური სახეობების წარმატებული მენეჯმენტისა და ბიოლოგიური ინვაზიის პრევენციისთვის კონცეფცია ითვალისწინებს საერთაშორისო სტანდარტებზე დაფუძნებულ ეფექტურ საკანონმდებლო სისტემას აღსრულების მექანიზმების ჩათვლით. ქვეყანაში ინვაზიის პროცესზე ეფექტური რეაგირება დამოკიდებულია ეროვნული კანონმდებლობის არსებობაზე, რომელიც გულისხმობს როგორც პრევენციულ, ისე ზიანის აღმოფხვრის ზომებს. აღნიშნულ კანონმდებლობაში გათვალისწინებული უნდა იყოს შესაბამისი ინსტიტუციური პასუხისმგებლობები, ოპერატიული მანდატები და პასუხისმგებლობების ინტეგრირება უცხო ინვაზიური სახეობების მხრიდან მომდინარე რეალურ და პოტენციურ საფრთხეებთან გამკლავებისას.

- ფართო საზოგადოებრივი ჩართულობა და ინფორმირებულობის მაღალი ხარისხი

ფართო საზოგადოების ჩართულობაზე დამყარებული პრევენციული ზომების შემუშავება და ქვეყნის მოსახლეობის ინფორმირება ინვაზიური სახეობების მიერ გამოწვეული პრობლემების შესახებ, ინვაზიური სახეობების მართვის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი პრინციპია. სარწმუნო ინფორმაციის მისაწვდომობა ფართო საზოგადოებისთვის ცნობიერების ამაღლების მნიშვნელოვანი პირობაა. სხვადასხვა სამიზნე აუდიტორიისთვის ინფორმაციის მიწოდება შესაძლებელია ელექტრონული, დაბეჭდილი,

მონაცემთა ბაზის, სამეცნიერო ჟურნალების და სამეცნიერო-პოპულარული პუბლიკაციების სახით. უცხო ინვაზიური სახეობების კონტროლის მეთოდებში საზოგადოების ჩართულობა ხელს უწყობს პასუხისმგებლობის განაწილებას და მოსახლეობის მხრიდან დახმარებას.

❖ უცხო ინვაზიური სახეობების მართვის პრიორიტეტები

უცხო ინვაზიური სახეობების მართვის კონცეფცია პრობლემებზე რეაგირებისა და მართვის მიზნით, საზღვრავს ქვევით შემოთავაზებულ პრიორიტეტებს, რომელსაც დაეფუძნება პოლიტიკა უცხო ინვაზიურ სახეობებთან მიმართებაში და შესაბამისი პოლიტიკის დოკუმენტები - სტრატეგია და სამოქმედო გეგმა, აგრეთვე მართვასთან დაკავშირებული მარეგულირებელი ნორმატიული აქტები. აღნიშნული დოკუმენტების მიხედვით განსაზღვრული ქმედებების მიზანი იქნება ქვეყნის ეკოსისტემების, ბიოლოგიური მრავალფეროვნების და საზოგადოების ჯანმრთელობის და კეთილდღეობის დაცვა უცხო ინვაზიური სახეობების მავნე ზეგავლენისგან ინვაზიის პრევენციის, კონტროლის და საჭიროების შემთხვევაში უცხო ინვაზიური სახეობების ერადიკაციის გზით და ამით თანამედროვე და მომავალი თაობებისთვის მდგრადი გარემოს შენარჩუნება.

▪ პრიორიტეტი # 1 - უცხო ინვაზიური სახეობების და მათი გავლენის შესახებ ინფორმაციის განახლება და შევსება

მიზანი: ქვეყანაში არსებული უცხო ინვაზიური სახეობების იდენტიფიკაცია, გავრცელების და გავლენის შესწავლა

ამოცანა 1: საქართველოსთვის უცხო ინვაზიური სახეობების ნუსხის არსებობა ევროკავშირის უცხო ინვაზიური სახეობების ნუსხის გათვალისწინებით.

ამოცანა 2: მონიტორინგის პროგრამების შემუშავება ინვაზიური სახეობების გავლენის შესაფასებლად და ვექტორების გამოსავლენად ტაქსონების მიხედვით ბუნების დაცვის საერთაშორისო კავშირის (IUCN) პრინციპების გათვალისწინებით (გარემოზე ზემოქმედების კლასიფიკაცია უცხო ინვაზიური სახეობებისთვის“ (*The Environmental Impact Classification for Alien Taxa (EICAT)*)).

ამოცანა 3: უცხო ინვაზიური სახეობების ინვენტარიზაცია დაცულ ტერიტორიებზე და მათი გავლენის შესწავლა დაცული ტერიტორიების ეკოსისტემებზე

ამოცანა 4: ახალი ტექნოლოგიების და მეთოდოლოგიების გამოყენების ხელშეწყობა ინვაზიური სახეობების გამოვლენისა და კვლევისთვის (მაგ. დისტანციური კვლევის საშუალებები, სპეციალურად გაწვრთნილი ძალებს, გარემოს დნმ-ის ნიმუშების შეგროვება, დიდი მონაცემების ანალიზს, ეპიდემიოლოგია).

ამოცანა 5 : ისეთი უცხო სახეობების გამოვლენა და დაშვება, რომლებიც ზიანს არ აყენებენ ადგილობრივ ეკოსისტემებს, ან რომელთა გამოიყენება კონკრეტული მიზნებისთვის შესაძლებელია სპეციალური რეჟიმის დაცვით, ადგილობრივი ეკონომიკის კონტექსტის გათვალისწინებით.

თუ სახეობა დიდი ხნის წინ არის შემოყვანილი, ეკოსისტემაში თავისი ნიში უკავია, არ შედის ინტერფერენციულ კონკურენციაში ადგილობრივ სახეობებთან, მაშინ შესაძლებელია მისი დატოვება და კონსერვაციული ღონისძიებების გატარებაც კი.

ასე, მაგალითად, დაახლოებით 12 000 სახეობა უცხოა ევროპული ქვეყნებისთვის, ამ სახეობების მხოლოდ 15% ითვლება ინვაზიურად (ევროკავშირის No 1143/2014 რეგულაციებიდან).

ევროპული პარლამენტის და საბჭოს რეგულაციების (EC) No 1107/2009(11) და (EU) No 528/2012(12) და საბჭოს რეგულაციების (EC) No 708/2007(13) მიერ შემოთავაზებულია წესები, თუ რა შემთხვევაშია დასაშვები ზოგიერთი უცხო სახეობების გამოყენება კონკრეტული მიზნებისთვის.

პრიორიტეტი #2. უცხო ინვაზიური სახეობების შემოჭრის პრევენცია

(ევროკავშირის (EU) რეგულაცია No 1143/2014 ევროპული პარლამენტის და საბჭოსი)

მიზანი: ისეთი ზომების არსებობა ქვეყანაში, რომლებიც შეზღუდავს უცხო ინვაზიური სახეობების მოხვედრას ხმელეთისა და წყლის ეკოსისტემებში

ამოცანა 1. საქართველოში პრევენციის უზრუნველყოფისთვის აუცილებელი ინსტიტუციების შესაძლებლობების გაძლიერება

სახელისუფლებო უწყებები, რომლებიც პასუხისმგებლები არიან უცხო ინვაზიური სახეობების მართვაზე, შემოსვლის შეზღუდვაზე (საბაჟოები), კვლევითი ინსტიტუციები, რომლებიც შეისწავლიან უცხო ინვაზიურ სახეობებს, მათი შემოსვლის გზებს, აკეთებენ გავრცელების მოდელირებას.

ამოცანა 2. უცხო ინვაზიური სახეობების შემოსვლამდე (pre-entry) კონტროლის ინსტრუმენტების არსებობა

საბაჟოს გავლით ინვაზიური სახეობების ქვეყანაში მოხვედრის შეზღუდვისათვის მნიშვნელოვანია სპეციალურად მომზადებული კონტიგენტის, სახელმძღვანელოების (guidelines), საკარანტინო ზონების და დეტალურად გაწერილი კანონების არსებობა, რაც ხელს შეუშლის აღნიშნული სახეობების მიერ ქვეყნის საზღვრის გადაკვეთა.

ამოცანა 3. საკარანტინო ზონების დაარსება, რომლებიც პასუხობს ბიოუსაფრთხოების დაცვის თანამედროვე მოთხოვნებს

საკარანტინო ზონები აუცილებელია ვაჭრობის, მოგზაურობის და ტრასპორტირების პროცესში ინვაზიის საწყისს ეტაპზე აღმოფხვრისთვის. ამ ზონებში გაადვილებულია აღმოჩენა, იზოლაცია და საჭიროების შემთხვევაში უცხო ინვაზიური სახეობების განადგურება.

ამოცანა 4. საკარანტინო ზონებისთვის ლეგალური და მარეგულირებელი ჩარჩოს არსებობა საერთაშორისო სტანდარტების და შეთანხმებების გათვალისწინებით

ხელისუფლება ქმნის კანონებს და რეგულაციებს, რომელიც განსაზღვრავს საკარანტინო ზონებში ჩასატარებელი სამუშაოებს, ამ სამუშაოებზე პასუხისმგებელ პირებს და საოპერაციო პროტოკოლებს საერთაშორისო სტანდარტების გათვალისწინებით (მაგ. მცენარეთა დაცვის საერთაშორისო კონვენციის (IPPC); ცხოველთა ჯანმრთელობის დაცვის მსოფლიო ორგანიზაციის (OIE))

ამოცანა 5. ბალასტის წყლების მენეჯმენტი თანამედროვე ტექნოლოგიების გამოყენებით.

საზღვაო ეკოსისტემაში უცხო ინვაზიური სახეობების მოხვედრის პრევენციისთვის აუცილებელია ისეთი ღონისძიებების გატარება, რომლებიც თანხვედრაშია საერთაშორისო საზღვაო ორგანიზაციის (International Maritime Organization) სახელმძღვანელო პრინციპებთან (მაგალითად: ფილტრაცია, ულტრაიისფერი სხვივებით დამუშავება, დეოქსიგენიზაცია და სხვ.).

▪ **პრიორიტეტი #3. უცხო ინვაზიური სახეობების შემოსვლაზე სწრაფი რეაგირება**

ამოცანა 1. ადრეული აღმოჩენისა და სწრაფი რეაგირების სისტემის შექმნა (Early Detection and Rapid Response (EDRR))

იგულისხმება ინვაზიური სახეობების შემოსვლის „ცხელი წერტილების“ პორტების, აეროპორტების, სახმელეთო სასაზღვრო ზონების მონიტორინგი და მოწყვლად ეკოსისტემებზე დაკვირვება თანამედროვე ტექნოლოგიების გამოყენებით (მაგ. გარემოს დნმ-ის ანალიზი); პოტენციური ინვაზიური სახეობების მონაცემთა ბაზის არსებობა და ხელმისაწვდომობა შესაბამისი უწყებებისთვის; სწრაფი შეტყობინების სისტემები და პასუხისმგებელი უწყებების კოორდინირებული ქმედებები.

ამოცანა 2. პრევენციის უზრუნველყოფისთვის აუცილებელი ინსტიტუციების შესაძლებლობების გაძლიერება

ახალი ინვაზიური სახეობების დეტექცია და სწრაფი რეაგირების უნარი მნიშვნელოვანია სამთავრობო უწყებებისთვის და ამ საკითხზე მომუშავე არასამთავრობო ორგანიზაციებისთვის; უმნიშვნელოვანესია ინვაზიური სახეობების გავრცელების პრევენციისთვის. ადრეული აღმოჩენა მრავალმხრივი პროცესია, სადაც ჩართულები უნდა იყოს სამეცნიერო, ტექნიკური და აღმასრულებელი ინსტიტუციები, როგორც ცენტრალური, ისე რეგიონალური, რომლებიც მჭიდროდ უნდა თანამშრომლობენ ერთმანეთთან. თითოეული ასეთი ინსტიტუციისთვის აუცილებელია შესაბამისი ცოდნა და აუცილებელი

ინსტრუმენტები, რაც მათ ინვაზიაზე სწრაფი რეაგირების საშუალებას მისცემს (*European Strategy on Invasive Alien Species*)

ამოცანა 3. უცხო სახეობების ინვაზიის პრევენციასა და კონტროლზე პასუხისმგებელ უწყებებს შორის კოორდინაციის გაძლიერება.

სახეობების ინვაზიის პრევენცია ხშირ შემთხვევაში ერთი უწყების კომპეტენციებიდან გადის და საჭიროებს რამოდენიმე უწყების ერთობლივ მოქმედებას მეტი ეფექტურობისთვის. ამიტომ მნიშვნელოვანია ფუნქციების განაწილება სხვადასხვა პასუხისმგებელ უწყებებს შორის და ერთობლივი სამოქმედო სტრატეგიის არსებობა.

▪ პრიორიტეტი#4. დაფუძნებული ინვაზიური სახეობების კონტროლი

მიზანი: დაფუძნებული ინვაზიური სახეობების კონტროლი ტაქსონების და ეკოსისტემების სპეციფიკის გათვალისწინებით

ამოცანა 1. დაფუძნებული სახეობების ინტეგრირებული მართვა ბიოლოგიური, ქიმიური და მექანიკური კონტროლის მეთოდების გამოყენებით სახეობების და ტერიტორიების მიხედვით (მაგალითად, კომპლექსური ბრძოლა მავნებლებთან/ Integrated Pest Management (IPM))

ამოცანა 2. კონტროლის მეთოდების შერჩევა ისე, რომ მინიმალური ზიანი მიაღწეს არასამიზნე სახეობებს და ეკოსისტემებს

ამოცანა 3. სახელმწიფო უწყებების, აკადემიური ინსტიტუციების, არასამთავრობო ორგანიზაციების და კერძო სექტორის შორის აქტიური კომუნიკაცია ინვაზიური სახეობების ეფექტური მართვისთვის

ამოცანა 4. განხორციელებული მართვის მეთოდების შეფასება

(Regulation (EU) No 1143/2014); EU Biodiversity Strategy for 2030)

▪ **პრიორიტეტი #5. ეკოსისტემების აღდგენის ხელშეწყობა**

მიზანი: უცხო ინვაზიური სახეობების მიერ დაზიანებული ეკოსისტემების აღდგენა მათ ბუნებრივ მდგომარეობამდე

ამოცანა 1. უცხო ინვაზიური სახეობების მიერ დაზიანებული ეკოსისტემების იდენტიფიკაცია და შეფასება

ამოცანა 2. ინვაზიის შედეგად საფრთხეში მყოფი სახეობების შეფასება ვრა

ამოცანა 3. ინვაზიური სახეობების ზემოქმედების შერბილება/აღმოფხვრადაცული ტერიტორიებზე

ამოცანა 4. ინვაზიური სახეობების მიერ დაზარალებული სახეობების რიცხოვნობის აღდგენის ხელშეწყობა ეკოსისტემებში

(The EU's biodiversity strategy for 2030)

▪ **პრიორიტეტი#6. უცხო ინვაზიური სახეობების მართვის ინტეგრირება პოლიტიკასა და კანონმდებლობაში**

მიზანი: უცხო ინვაზიურ სახეობებთან მიმართებაში პოლიტიკის და კანონმდებლობის შემდგომი გაუმჯობესება/დახვეწა

ამოცანა 1. სრულყოფილი საკანონმდებლო ბაზის შექმნა, რომელშიც გათვალისწინებული იქნება პოტენციური ინვაზიური სახეობების იმპორტთან დაკავშირებული რეგულაციების დახვეწა

ამოცანა 2. ეროვნული პოლიტიკის ჰარმონიზაცია საერთაშორისო პოლიტიკასთან ინვაზიურ სახეობებთან მიმართებაში, განსაკუთრებით მოსაზღვრე ქვეყნებიდან ინვაზიასთან დაკავშირებული პრობლემების გასამკლავებლად.

(European Parliament resolution of 3 February 2009 on Wilderness in Europe (2008/2210(INI))

პრიორიტეტი # 7. საზოგადოების ჩართულობის უზრუნველყოფა

მიზანი: ადგილობრივი საზოგადოების, როგორც დაინტერესებული მხარის, ჩართვა უცხო ინვაზიური სახეობების მიერ გამოწვეულ პრობლემებთან გამკლავებაში

ამოცანა 1. მოსახლეობის ინფორმირება უცხო ინვაზიური სახეობების მიერ გამოწვეული პრობლემების და მათთან გამკლავების გზების შესახებ

ამოცანა 2. საზოგადოებრივი აზრის გათვალისწინება უცხო ინვაზიური სახეობების მართვის დაგეგმვისას და მოსახლეობის ჩაბმა მართვის პროცესში.

უცხო ინვაზიური სახეობების ქვეყანაში მოხვედრა დამოკიდებულია ძირითადად ადამიანების ქცევაზე, ამიტომ მოსახლეობის მონაწილეობა ინვაზიით გამოწვეული პრობლემების გადაჭრაში გარდაუვალია. საზოგადოების ჩართულობა მართვის პროცესში, რომელიც ემსახურება ინვაზიის შედეგების შერბილებას, ხელს უწყობს საზოგადოების ცნობიერების ამაღლებას, პასუხისმგებლობის ზრდას და ქცევის ცვლილებას, რაც ხელს უწყობს მომვალში ინვაზიის თავიდან არიდებას.

პრიორიტეტი # 8 . ტრანსსაზღვრო კოორდინაცია უცხო ინვაზიური სახეობების მართვისას

მიზანი: უცხო ინვაზიური სახეობების კოორდინირებული მენეჯმენტი მოსაზღვრე ქვეყნების მიერ ინვაზიის პრევენციის, კონტროლისა და ეკოსისტემების აღდგენისთვის.

ამოცანა 1. ჩარჩო-ხელშეკრულების შემუშავება რეგიონალური კოოპერაციისთვის.

ამოცანა 2. ინფორმაციის სწრაფი მიმოცვლის სისტემის არსებობა მოსაზღვრე ქვეყნებს შორის.

ამოცანა #3. პრევენციის და კონტროლის წესების ჰარმონიზაცია მოსაზღვრე ქვეყნების მიერ.

ამოცანა #4. ტექნიკური ექსპერტიზის (ექსპერტების, ტექნოლოგიების, აღჭურვილობის) გაზიარება ქვეყნებს შორის

(EU Regulation No. 1143/2014)

კონცეფციის განხორციელება და ვადები

წინამდებარე კონცეფციის განხორციელების ორინეტირი, განისაზღვრება ბიომრავალფეროვნების ახალი გლობალური დღის წესრიგის ხედვის – „2050 წლისთვის ბუნებასთან ჰარმონიაში ცხოვრება“ – შესაბამისად.

უცხო ინვაზიური სახობების მართვის კონცეფციის დროითი ინტერვალი წყდება შემდგომი სტრატეგიული ინტერვენციების პირობებში და გაგრძელდება განსახორციელებელი იმ აქტივობებითა და ღონისძიებებით, რომლებმაც წვლილი უნდა შეიტანონ წარმოდგენილი კონცეფციის რეალიზაციასა და მასში ფიქსირებული ხედვის მიღწევაში.

სახელმწიფო, ამ კონცეფციაზე დაყრდნობით, ქმნის მოწყვლადი ეკოსისტემების გაძლიერებისა და შემდგომი განვითარებისთვის სტრატეგიას შესაბამის სამოქმედო გეგმებთან ერთად. საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო, სხვა შესაბამის უწყებებთან ერთად, კოორდინაციას გაუწევს წინამდებარე კონცეფციის ფარგლებში წარმოდგენილი პრიორიტეტების ასახვას შესაბამის სტრატეგიასა და სამოქმედო გეგმებში და განსახორციელებს შესაბამის ანგარიშგებას საქართველოს მთავრობისა და საქართველოს პარლამენტის გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების კომიტეტის წინაშე. სტრატეგიის შემუშავებისას მაქსიმალურად იქნება გათვალისწინებული როგორც „პოლიტიკის დოკუმენტების შემუშავების, მონიტორინგის და შეფასების“ წესის მოთხოვნები, ისე საზოგადოდ მიღებული სტრატეგიული დაგეგმვის სტანდარტები და წინამორბედი სტრატეგიის შემუშავება-განხორციელების პროცესში მიღებული გამოცდილება.

საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს მიერ წარმოდგენილი კონცეფციის შემდგომი პოლიტიკის დოკუმენტების განხორციელების მონიტორინგი და შეფასება საქართველოს მთავრობის პოლიტიკის დაგეგმვის, მონიტორინგისა და შეფასების სახელმძღვანელოთი დადგენილი მოთხოვნების შესაბამისად განხორციელდება. რეგულარული მონიტორინგი და მტკიცებულებებზე დაფუძნებული შეფასება განხორციელდება ერთიან ეროვნულ სტრატეგიაში განსაზღვრული მიზნებისა და ამოცანების

მიღწევის და სამოქმედო გეგმით განსაზღვრული ღონისძიებების განხორციელების პროგრესის შესაფასებლად. ეს იქნება ინფორმაციისა და ანგარიშვალდებულების, რესურსების განაწილების, პოლიტიკის შემუშავებისა და განხორციელების პროცესების ეფექტური მართვის საფუძველი. კონცეფციის შემდგომი პოლიტიკის დოკუმენტების განხორციელებასთან დაკავშირებული ინფორმაციის შეგროვებასა და რეგულარული სტატუს და პროგრეს ანგარიშების და მონიტორინგის წლიური ანგარიშების მომზადების კოორდინაციას უზრუნველყოფს საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს პოლიტიკის კოორდინაციისა და ანალიტიკის დეპარტამენტი, შესაბამისი განმახორციელებელი/პასუხისმგებელი უწყების/დეპარტამენტის მიერ მიწოდებული ინფორმაციის საფუძველზე. სამოქმედო გეგმით განსაზღვრული ყველა აქტივობის იმპლემენტაციის სტატუსი შეფასდება პოლიტიკის დაგეგმვის, მონიტორინგისა და შეფასების სახელმძღვანელოში მოწოდებული პრინციპის თანახმად. მომზადდება შუალედური და საბოლოო შეფასების ანგარიშებიც, რომლის შედეგები გათვალისწინებული იქნება შემდგომ სამოქმედო გეგმაში და, საჭიროების შემთხვევაში, სტრატეგიის დოკუმენტშიც.